ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3808841

ნომერი: AR1574012

თარიღი : 31.01.2018

გაცემის თარიღი : 06.02.2018

გაცნობის თარიღი : 06.02.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N22ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი ჟორჟოლიანი პ/ნ 01015005853
- თბილისი ი.და ნ.ნაკაშიძეების შეს. N 5

ორგანიზაცია:
- შპს "გრადბურგ დეველოპმენტი" კოდი: 404497656

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2200582
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 29.09.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება საჭიროა წარმოდგენილ იქნეს იოსებ დუდუჩავას მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში ან იოსებ დუდუჩავა დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.
როგორც წარმოდგენილი უარის თქმის დოკუმენტიდან და არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალიდან ირკვევა, დ-ც მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ბაქანი და ლითონის მოაჯირები, ანუ მოწყობილია ტერასა მიჯნის ზონაში. შესაბამისად წარმოსადგენია მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა (დამოწმებული ნოტარიული წესით) ან მოიყვანოთ კანონმდებლობასთან შესაბამისბაში; საჭიროა დასრულდეს ტერიტორიის კეთილმოწყობა (ზემოაღნიშნულის განხორციელების შემდგომ საჭიროა ზედამხედველობის აქტში ცვლილების შეტანა) ; წარმოსადგენია ლიფტის და პანდუსის ანაზომი ნახაზები ზედამხედველობის სამსახურთან დამოწმებული ზომებით დახრის პროცენტულობით, ნიშნულების მითითებით. გაითვალისწინეთსამანქანო პანდუსის დახრის პროცენტულობა დახურულ სივრცეში არ უნდა აღემატებოდეს 18-%-ს, ხოლო ღია სივრცეში 14- %-ს; ხოლო ლიფტის ზომები უნდა იყოს მინიმუმ 1,1*1,40. დამატებით წარმოსადგენია უფლებამოსილი პირის შესრულებული საექსპერტო შეფასება სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით წარმოებული მშენებლობის შესახებ;

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.